სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
140.060.000.22.034.014.793

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №571

2010 წლის 29 ივნისი

ქ. თბილისი

ხანძრების, ავარიების, კატასტროფების, სტიქიური უბედურებებისა და სხვა საგანგებო სიტუაციებისას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სახანძრო-სამაშველო დანაყოფების და სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ძალებისა და საშუალებების ჩაბმის წესის დამტკიცების თაობაზე

„სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუქნტის „ვ“ და „კ“ ქვეპუნქტებისა და მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის, ,,ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის №614 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-11 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1. დამტკიცდეს თანდართული „ხანძრების, ავარიების, კატასტროფების, სტიქიური უბედურებებისა და სხვა საგანგებო სიტუაციებისას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სახანძრო-სამაშველო დანაყოფების და სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ძალებისა და საშუალებების ჩაბმის წესი” (დანართი №1).

მუხლი 2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტმა უზრუნველყოს ბრძანების შესწავლის ორგანიზება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სახანძრო-სამაშველო დანაყოფებში და სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურებში.

მუხლი 3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ი. მერაბიშვილი

ხანძრების, ავარიების, კატასტროფების, სტიქიური უბედურებებისა და სხვასაგანგებო სიტუაციებისას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სახანძრო-სამაშველო დანაყოფების და სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ძალებისა და საშუალებების ჩაბმის წესი

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1

1. ხანძრების, ავარიების, კატასტროფების, სტიქიური უბედურებებისა და სხვა საგანგებო სიტუაციებისას (შემდგომში – ხანძრები და სხვა საგანგებო სიტუაციები) ადგილობრივი

თვითმმართველობის ორგანოების სახანძრო-სამაშველო დანაყოფებისა (შემდგომში – სახანძრო-სამაშველო დანაყოფები) და სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის (შემდგომში – რეგიონული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური) ძალებისა და საშუალებების ჩაბმის წესი (შემდგომში – წესი) შემუშავებულია „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ", „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონებისა და ამ სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2. წესი არეგულირებს სახანძრო-სამაშველო დანაყოფების და რეგიონული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ძალებისა და საშუალებების მიერ ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების ორგანიზების და მოქმედების წინასწარი დაგეგმვის საკითხებს.

მუხლი 2

საქართველოს ტერიტორიაზე ხანძრებსა და სხვა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისას სხვადასხვა სახეობის სახანძრო-სამაშველო დანაყოფების და საავარიო-სამაშველო ფორმირებების მოქმედებების მართვა და კოორდინირება მართვის დონეების მიხედვით ევალებათ:

ა) ცენტრალურ დონეზე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს;

ბ) ავტონომიის დონეზე – აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოებს;

გ) რეგიონულ დონეზე – რეგიონული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს;

დ) ადგილობრივ დონეზე – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სახანძრო-სამაშველო დანაყოფებს.

მუხლი 3

ადგილობრივ დონეზე ხანძრებსა და სხვა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების მოქმედებების მართვისას სახანძრო-სამაშველო დანაყოფების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

ა) სახანძრო-სამაშველო დანაყოფების ძალებისა და საშუალებების ეფექტური გამოყენებისთვის საჭირო პირობების შექმნა;

ბ) სახანძრო-სამაშველო დანაყოფების ძალებისა და საშუალებების მართვის ერთიანი სისტემის შექმნა;

გ) სასიცოცხლო უზრუნველყოფის სამსახურებთან (მათ შორის რეგიონულ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დანაყოფთან) ურთიერთმოქმედების ორგანიზება;

დ) სხვადასხვა სახეობის სახანძრო დაცვის სამსახურებთან და რეგიონულ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დანაყოფთან საერთო ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება.

მუხლი 4

რეგიონულ დონეზე ხანძრებსა და სხვა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების მოქმედებების მართვისას რეგიონული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

ა) სახანძრო-სამაშველო დანაყოფების ძალების და საშუალებების გამოყენების დაგეგმვა;

ბ) სახანძრო-სამაშველო დანაყოფების ძალების და საშუალებების კოორდინაცია და მონიტორინგი;

გ) საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალებს შორის კავშირის ორგანიზება;

დ) საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების გამოძახების თაობაზე ინფორმაციის მიღების და რეგისტრაციის ორგანიზება, გამოძახების შემდგომი დამუშავება და საქართველოს შინაგან

საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტისათვის ინფორმაციის მიწოდება;

ე) საჭიროების შემთხვევაში საგანგებო სიტუაციების რეაგირების ძალების მორიგეობიდან თავისუფალი პირადი შემადგენლობის ჩაბმის ღონისძიებების ორგანიზება და კოორდინაცია;

ვ) რეგიონის სხვადასხვა სახეობის სახანძრო დაცვის და სასიცოცხლო უზრუნველყოფის სამსახურებთან ურთიერთმოქმედების შეთანხმების (ერთობლივი ინსტრუქციების) შემუშავების ორგანიზება და დამტკიცება;

ზ) რეგიონის სახანძრო-სამაშველო დანაყოფების უფროსი ოპერატიული თანამდებობის პირების ხანძრებსა და სხვა საგანგებო სიტუაციებზე გამოძახების წესის განსაზღვრა.

მუხლი 5

განსაკუთრებულად რთული ხანძრების ჩაქრობაში მონაწილე სახანძრო დაცვის სხვადასხვა სახეობების სამსახურების მოქმედებების მაკოორდინირებელი ფუნქციები ეკისრება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს.

მუხლი 6

1. სახანძრო-სამაშველო და რეგიონული საგანგებო სიტუაციების მართვის დანაყოფების მიერ ხანძრის ჩაქრობა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების ორგანიზება ხორციელდება საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალებისა და საშუალებების მოქმედებების დაგეგმვის წინასწარ შემუშავებული წესით. მოქმედებების დაგეგმვა შედგება დანაყოფების ძალებისა და საშუალებების ჩაბმის გეგმებისა (შემდგომში – ჩაბმის გეგმა) და შემთხვევებზე გასვლის განრიგისაგან (შემდგომში – გასვლის განრიგი).

2. სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის უფლებამოსილებათა ტერიტორიულ საზღვრებში წარმოქმნილ ხანძრებსა და სხვა საგანგებო სიტუაციებზე ჩაბმის გეგმის დადგენილი წესით შემუშავებას უზრუნველყოფს რეგიონული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური და ამტკიცებს შესაბამისი სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი განკარგულებით. ჩაბმის გეგმა თანხმდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტთან.

3. გასვლის განრიგი სახანძრო-სამაშველო დანაყოფების ძირითადი ოპერატიული დოკუმენტია, რომელიც განსაზღვრავს ხანძრებისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარებისათვის საჭირო ძალებისა და საშუალებების სწრაფი და ორგანიზებული გადანაწილების წესს სახანძრო დაცვის ძალებისა და საშუალებების ჩაბმისას. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ტერიტორიულ საზღვრებში წარმოქმნილ ადგილობრივ ხანძრებსა და სხვა საგანგებო სიტუაციებზე გასვლის განრიგის დადგენილი წესით შემუშავებას უზრუნველყოფენ სახანძრო-სამაშველო დანაყოფები და ამტკიცებენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. ქალაქების – თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი, ზუგდიდი, ფოთი – სახანძრო-სამაშველო დანაყოფების გასვლის განრიგი თანხმდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტთან.

4. ჩაბმის გეგმის შემუშავების მიზნით სახანძრო-სამაშველო დანაყოფების უფლებამოსილი პირები ვალდებულნი არიან წარუდგინონ აუცილებელი მონაცემები (შეიარაღებაში არსებული სახანძრო და სპეციალური ავტომობილების ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლები, გასვლის რაიონის ოპერატიულ-ტაქტიკური დახასიათება და ა.შ.) შესაბამის რეგიონულ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურებს.

მუხლი 7

ხანძრებისა და სხვა საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში სხვადასხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სახანძრო-სამაშველო და რეგიონული საგანგებო სიტუაციების მართვის დანაყოფების ძალებისა და საშუალებების ჩაბ-

მას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი.

თავი II
ხანძრების და სხვა საგანგებო სიტუაციებისას სახანძრო-სამაშველო და რეგიონული საგანგებო სიტუაციების მართვის დანაყოფების ძალებისა და საშუალებების ჩაბმის გეგმის შემუშავება

მუხლი 8

„სახანძრო დაცვის სამსახურების ორგანიზაციის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 26 ოქტომბრის №1254 ბრძანებით დამტკიცებულ ძალებისა და საშუალებების ჩაბმის გეგმას (დანართი №3) აგრეთვე თან ერთვის:

ა) სახანძრო-სამაშველო, საავარიო-სამაშველო დანაყოფების ძალებისა და საშუალებების ნუსხა;

ბ) სახანძრო-სამაშველო, საავარიო-სამაშველო დანაყოფების ძალებისა და საშუალებების ჩამონათვალი, რომლის ტერიტორიაზე იგზავნებიან დამხმარე დანაყოფები ხანძრის ჩასაქრობად და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩასატარებლად და რომლის ინტერესებიდან გამომდინარე მუშავდება ჩაბმის გეგმა, მანძილების, მსვლელობის მარშრუტისა და გზის საფარის მდგომარეობის მითითებით;

გ) დასახმარებლად მოზიდული სახანძრო-სამაშველო დანაყოფების ძალებისა და საშუალებების ჩამონათვალი, ამ დანაყოფებიდან მანძილების, მსვლელობის მარშრუტის, გზის საფარის მდგომარეობისა და აღნიშნულ პერიოდში მაკომპენსირებელი ღონისძიებების მითითებით.

მუხლი 9

ჩაბმის გეგმა ინახება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის ინფორმაციისა და პროგრამული უზრუნველყოფის სამსახურის საინფორმაციო განყოფილებაში. შესაბამის სახანძრო-სამაშველო დანაყოფებს და რეგიონულ საგანგებო სიტუაციის მართვის სამსახურს ეგზავნება ამონაწერი გეგმიდან.

მუხლი 10

ჩაბმის გეგმის შემუშავება მოიცავს:

ა) ქალაქებში, დასახლებულ პუნქტებსა და ორგანიზაციებში ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარებაზე მიმართული მოქმედებების წინასწარ დაგეგმვას;

ბ) ქალაქების, დასახლებული პუნქტების, ორგანიზაციების სპეციალური ნუსხის განსაზღვრას, სადაც ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩასატარებლად მოიზიდებიან დამატებითი ძალები და საშუალებები სხვა თვითმმართველი ერთეულებიდან;

გ) სახანძრო-სამაშველო დანაყოფების დამატებითი ძალებისა და საშუალებების რაოდენობის განსაზღვრას, რომლებიც მოიზიდებიან სპეციალურ ნუსხაში შეტანილ ორგანიზაციებში მომხდარი ხანძრების ჩასაქრობად;

დ) დამატებითი სახანძრო-სამაშველო დანაყოფების ძალებისა და საშუალებების რაოდენობის განსაზღვრას, რომლებიც მოიზიდებიან მომიჯნავე ტერიტორიაზე ხანძრის ჩასაქრობად და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩასატარებლად;

ე) გასვლის რაიონში სახანძრო-სამაშველო დანაყოფების ძალებისა და საშუალებების დისლოკაციის შეცვლის უზრუნველმყოფი ღონისძიებების შემუშავებას სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში რთული ხანძრების ჩაქრობასა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარებისას;

ვ) სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში რთული ხანძრების ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარებისას გასვლის რაიონში ხანძრის ჩაქრობის ორგანიზების საჭირო დონის უზრუნველმყოფი მაკომპენსირებელი ღონისძიებების შემუშავებას;

ზ) სასიცოცხლო უზრუნველყოფის სამსახურებთან და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ურთიერთქმედების შესახებ ინსტრუქციების შემუშავებას და შეთანხმებას.

მუხლი 11

ჩაბმის გეგმის კორექტირება ხორციელდება საჭიროებიდან გამომდინარე, მაგრამ არანაკლებ ორ წელიწადში ერთხელ, აგრეთვე:

ა) ხანძრის ჩაქრობის და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ორგანიზების სფეროში ახალი ნორმატიული აქტების გამოცემის შემთხვევაში;

ბ) გასვლის რაიონის საზღვრების ცვლილების დროს;

გ) სახანძრო-სამაშველო გათვლების რაოდენობის, პირადი შემადგენლობის რიცხოვნების, აგრეთვე სახანძრო და სპეციალური საავარიო-სამაშველო ტექნიკის ტაბელური კუთვნილების ცვლილებების შემთხვევაში.

თავი III
ხანძრის ჩაქრობასა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარებისას სახანძრო-სამაშველო და რეგიონული საგანგებო სიტუაციების მართვის დანაყოფების ძალებისა და საშუალებების ჩაბმის თავისებურებები

მუხლი 12

რთული ხანძრების ჩაქრობასა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩასატარებლად პირველ რიგში მოიზიდებიან ძირითადი, სპეციალური სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკით, სამაშველო, სახანძრო-ტექნიკური საშუალებებით და დანადგარებით აღჭურვილი სახანძრო-სამაშველო და რეგიონული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დანაყოფები.

მუხლი 13

სახანძრო-სამაშველო დანაყოფების დისლოკაციის შესაცვლელად მომზადებისათვის საჭირო დრო განისაზღვრება ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს 2 საათს.

მუხლი 14

1. ხანძრის ჩაქრობა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების ორგანიზება მოიცავს:

ა) სახანძრო-სამაშველო დანაყოფების, საავარიო-სამაშველო ფორმირებების სახანძრო ტექნიკით, ცეცხლსაქრობი ნივთიერებებით, საავარიო-სამაშველო შეიარაღებით აღჭურვას და მათთვის კონკრეტული ამოცანების დასახვას;

ბ) მორიგე სამსახურის ორგანიზებას;

გ) ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების წინასწარი დაგეგმვის დოკუმენტების შემუშავებას;

დ) სახანძრო-სამაშველო დანაყოფებს შორის, აგრეთვე სასიცოცხლო უზრუნველყოფის და სხვა სამსახურებთან ურთიერთქმედების და კავშირის ორგანიზებას.

2. ხანძრის ჩაქრობის და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ორგანიზების ყველა ღონისძიება უნდა უზრუნველყოფდეს სახანძრო-სამაშველო დანაყოფების და საავარიო-სამაშველო ფორმირებების შემთხვევის ადგილამდე დროულ მისვლას, ადამიანთა და ქონების გადარჩენას, ხანძრის სწრაფ ლიკვიდაციას.

თავი IV
ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების წინასწარი დაგეგმვა

მუხლი 15

ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების წინასწარი დაგეგმვის ღონისძიებების შემუშავების ორგანიზება ევალებათ სახანძრო-სამაშველო დანაყოფების და რეგიონული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფლებამოსილ პირებს.

მუხლი 16

ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების წინასწარი დაგეგმვის ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს დასახლებული პუნქტების, ობიექტების ოპერატიულ-ტაქტიკურ და საინჟინრო-ტექნიკურ თავისებურებებს, კონკრეტულ ობიექტებზე შრომის დაცვისა და უსაფთხოების ტექნიკის წესებს, ხანძრის წარმოქმნის და განვითარების პარამეტრების პროგნოზირების ტექნიკურ უზრუნველყოფას, სახანძრო-სამაშველო დანაყოფების და საავარიო-სამაშველო ფორმირებების ძალებისა და საშუალებების ჩაბმის სხვადასხვა ტექნიკური ამოცანების გადაწყვეტას, ხანძრის ჩაქრობის სხვადასხვა საშუალებებისა და ხერხების გამოყენებას, აგრეთვე სხვა ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს.

მუხლი 17

ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების წინასწარი დაგეგმვის დოკუმენტების შემუშავება ხორციელდება შესაძლო ავარიული სიტუაციების მოდელირებისა და ვითარების პროგნოზირების საფუძველზე.

თავი V
ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარებისას სახანძრო-სამაშველო დანაყოფების და რეგიონული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ძალებისა და საშუალებების გასვლის განრიგის შემუშავება

მუხლი 18

ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების საზღვრებში სხვადასხვა სირთულის ხანძრების და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების ორგანიზების მიზნით გასვლის განრიგის შემუშავებისას უნდა დადგინდეს რეაგირების ძალებისა და საშუალებების რაოდენობა (რეზერვების გათვალისწინებით) და მოზიდვის თანმიმდევრობა, აგრეთვე სპეციალური ტექნიკის ჩაბმის და უფლებამოსილი თანამდებობის პირების შემთხვევებზე გასვლის წესი სახანძრო-სამაშველო დანაყოფების მახასიათებლებიდან გამომდინარე, გასვლის რაიონის ტერიტორიაზე განთავსებული ორგანიზაციების ოპერატიულ-ტაქტიკური თავისებურებების და ერთდროულად წარმოქმნილი ხანძრების შესაძლო რაოდენობის გათვალისწინებით.

მუხლი 19

სხვადასხვა სახეობის სახანძრო დაცვის სამსახურების დანაყოფების და საავარიო-სამაშველო ფორმირებების ჩართვა გასვლის განრიგში ხორციელდება დადგენილი წესით შემუშავებული შეთანხმების საფუძველზე. გასვლის განრიგი ინახება სახანძრო-სამაშველო დანაყოფის კავშირგაბმულობის კვანძში.

მუხლი 20

სახანძრო-სამაშველო დანაყოფებში არსებული ძალებისა და საშუალებების რაოდენობიდან გამომდინარე გასვლის განრიგის შედგენისას ხანძრის ნომრის შემუშავება-განსაზღვრა ხორციელდება ხანძრის ნომრის დადგენის სარეკომენდაციო ნიმუშის მიხედვით (დანართი №2).

მუხლი 21

ხანძრის ნომერი განისაზღვრება ხანძრის განვითარების პროგნოზის, ვითარების შეფასების, სახანძრო-სამაშველო დანაყოფის ტაქტიკური შესაძლებლობების და ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარებაზე მიმართული მოქმედებების წინასწარი დაგეგმვის საფუძველზე.

მუხლი 22

საჭიროებიდან გამომდინარე, მომდევნო (მაღალი) ხანძრის ნომერი ცხადდება ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით ხანძრის დაზვერვისა და ვითარების შეფასების შედეგად. ხანძრის უმაღლესი ნომერი ითვალისწინებს ხანძრის ჩასაქრობად სახანძრო-სამაშველო გათვლაში არსებული ძირითადი და სპეციალური სახანძრო ავტომობილების და პირადი შემადგენლობის მაქსიმალური რაოდენობის მოზიდვას, იმავდროულად მორიგეობიდან თავისუფალი პირადი შემადგენლობის შეკრებასა და სათადარიგო ტექნიკის გათვლაში ჩაბმას.

მუხლი 23

მორიგე ცვლის გასვლის რაიონის ფარგლებს გარეთ ხანძარზე და სხვა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შემთხვევაში, იმ ტერიტორიაზე, სადაც დისლოცირებულია მხოლოდ ერთი სახანძრო-სამაშველო დანაყოფი, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მორიგეობიდან თავისუფალი პირადი შემადგენლობის შეკრება და სათადარიგო ტექნიკის გათვლაში ჩაყენება.

მუხლი 24

სახანძრო-სამაშველო დანაყოფების გასვლა ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩასატარებლად განრიგის თანახმად ხორციელდება:

ა) სატელეფონო შეტყობინების შემდეგ;

ბ) შიგა განწესის გუშაგისათვის სიტყვიერი შეტყობინების შემდეგ;

გ) ხანძრის გარეგნული ნიშნებით აღმოჩენისას.

მუხლი 25

გასვლის განრიგის შედგენისას მხედველობაში მისაღებია, რომ გასვლის რაიონში სახანძრო-სამაშველო გათვლა შეიძლება მივიდეს მომიჯნავე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის სახანძრო-სამაშველო გათვლაზე გვიან, სხვა ხანძარზე ყოფნის, აგრეთვე მსვლელობის მარშრუტზე შეფერხებების გამო, ამ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს დამხმარე სახანძრო-სამაშველო დანაყოფის ერთი გათვლის იმავდროული გაგზავნა.

მუხლი 26

ხანძარზე სპეციალური სახანძრო ავტომობილების გაგზავნა ხორციელდება გასვლის განრიგით განსაზღვრული წესით ან ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელის მოთხოვნით, ხანძარზე შექმნილი ოპერატიულ-ტაქტიკური ვითარებიდან გამომდინარე. მორიგე ცვლის გათვლაში სპეციალური სახანძრო ავტომობილების ყოფნის შემთხვევაში დასაშვებია მათი გაგზავნა ხანძარზე უფროსი თანამდებობის პირის გადაწყვეტილებით.

მუხლი 27

„სახანძრო დაცვის სამსახურების ორგანიზაციის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 26 ოქტომბრის №1254 ბრძანებით დამტკიცებულ ხანძარზე და სხვა საგანგებო სიტუაციებზე გასვლის განრიგს (დანართ №2) აგრეთვე თან ერთვის:

ა) სახანძრო-სამაშველო და საავარიო-სამაშველო დანაყოფების ძალებისა და საშუალებების ნუსხა, რომელთა ინტერესებიდან გამომდინარე მუშავდება გასვლის განრიგი;

ბ) ჩაბმის გეგმიდან ამონაწერი, რომელიც ამ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის დანაყოფს ეხება, ხანძრის ნომრის მითითებით, რის მიხედვითაც მოიზიდებიან დამხმარე დანაყოფების ძალები და საშუალებები;

გ) დამხმარე სახანძრო-სამაშველო და საავარიო-სამაშველო დანაყოფების ძალებისა და საშუალებების ჩამონათვალი, ამ დანაყოფიდან მანძილების, მსვლელობის მარშრუტის და გზის საფარის მდგომარეობის მითითებით.

მუხლი 28

გასვლის განრიგის შემუშავება მოიცავს:

ა) ქალაქებში, დასახლებულ პუნქტებსა და ორგანიზაციებში ხანძრის ჩაქრობის და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარებაზე მიმართული მოქმედებების წინასწარ დაგეგმვას;

ბ) ქალაქის, დასახლებული პუნქტების და ორგანიზაციების ნუსხის განსაზღვრას, რომლებზეც ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩასატარებლად საჭიროა დანაყოფების გაგზავნა ხანძრის მაღალი ნომრით;

გ) ქალაქების, დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე განლაგებული ორგანიზაციების სპეციალური ნუსხის განსაზღვრას, რომლებზეც ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩასატარებლად საჭიროა დამატებით ძალებისა და საშუალებების მოზიდვა სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებიდან;

დ) სპეციალურ ნუსხაში შემავალ ორგანიზაციებში მომხდარი რთული ხანძრების ჩასაქრობად საჭირო დამატებითი ძალებისა და საშუალებების რაოდენობის განსაზღვრას;

ე) დამატებითი ძალებისა და საშუალებების რაოდენობის განსაზღვრას, რომლებიც შეიძლება მოზიდული იქნენ სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მომხდარ ხანძრებსა და სხვა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისათვის;

ვ) გასვლის რაიონში საჭირო დონის მაკომპენსირებელი ღონისძიებების შემუშავებას სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში რთული ხანძრების ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარებისას;

ზ) სასიცოცხლო უზრუნველყოფის სამსახურებთან და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ურთიერთქმედების შესახებ ინსტრუქციების შემუშავებასა და შეთანხმებას.

მუხლი 29

სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის უფლებამოსილებათა ტერიტორიულ საზღვრებს ფარგლებს გარეთ ხანძრებისა და სხვა საგანგებო სიტუაციების წარმოქმნისას, საგანგებო სიტუაციების მართვის რეგიონული სამსახურის დანაყოფების ძალებისა და საშუალებების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას, სახელმწიფო რწმუნებულთან – გუბერნატორთან შეთანხმებით, იღებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი.

დანართი №2

ხანძრის ნომრის დადგენის სარეკომენდაციო ნიმუში

ხანძრის ნომერი	ხანძრის ნომრის მიხედვით გამოძახებული ძალები და საშუალებები		სხვადასხვა ნაგებობები, რომლებზეც ძალები და საშუალებები იგზავნება პირველი შეტყობინებისთანავე	შენიშვნა
	ძირითად სახანძრო ავტომობილებზე	სპეციალურ სახანძრო ავტომობილებზე		

1	1-2 გათვლა ავტოცისტერნით (გასვლის რაიონში სრული შემადგენლობით გადის მორიგე ცვლა)	1 გათვლა ავტო-კიბით (4 და მეტსარ-თულიანი და 8 მეტრზე მეტი სიმაღლის საწარმოო შენო-ბებისათვის)	9 სართულზე ნაკლები სიმაღლის საცხოვრებელი სახლები (ხანძრის გაჩენისას სართულებზე), გარაჟები, საწარმოები (არახანძარსაშიში წარმოებით), სხვა ობიექტები, აგრეთვე ავარიების და სტიქიური უბედურებების ადგილები, სადაც ადამიანთა სიცოცხლეს ემუქრება საფრთხე	ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელს უფლება აქვს გამოიძახოს ერთი ან რამდენიმე გათვლა ძირითად და სპეციალურ ავტომობილებზე ხანძრის მაღალი ნომრის გამოცხადების გარეშე
2	4-5 გათვლა ავტოცისტერნით (გასვლის რაიონში გადის მორიგე ცვლა და ახლომდებარე სახანძრო-სამაშველო დანაყოფის გათვლები)	1 გათვლა ავტო-კიბით (4 და მეტსარ-თულიანი და 8 მეტრზე მეტი სიმაღლის საწარმოო შენო-ბებისათვის 1 გათვლა აირკვამლდამცავ ი სამსახურის ავტომობილზე (შენობების სარდაფებში ხანძრის გა-ჩენისას)	საბავშვო, ჯანდაცვის, საგანმანათლებლო დაწესებულებები, სასტუმროები, საერთო საცხოვრებლები, 10 და მეტსართულიანი საცხოვრებელი სახლები, საცხოვრებელი სახლების სარდაფები და სხვა ორგანიზაციები, რომლებსაც ავტომატურად ენიჭება ხანძრის 2 ნომერი	ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელი უშუალოდ ხანძრის ადგილიდან ადასტურებს ან უარყოფს გამოძახების ნომერს ან აცხადებს უფრო მაღალ ნომერს
3	6-9 გათვლა ავტოცისტერნით (გასვლის რაიონში გადის მორიგე ცვლა და ახლომდებარე სახანძრო-სამაშველო დანაყოფების გათვლები)	1-2 გათვლა ავ-ტოკიბით 1 გათვლა აირკვამლდამ-ცავი სამსახურის ავტომობილით (შენობების სარდაფებში, საკაბელო გვირა-ბებში ხანძრის გაჩენისას) 1 გათვლა საავარიო-სამაშველო ავტომობილით (ღამის საათებში, აგრეთვე შენო-ბების სარდაფებ-ში, საკაბელო გვირაბებში ხანძრის გაჩენი-სას)	სამაყურებლო დაწესებულებები, ნავთობბაზები, აფეთქებახანძარსაშიში წარმოების მქონე საწარმოები, სასიცოცხლო უზრუნველყოფის, განსაკუთრებული მნიშვნელობის და სხვა, ორგანიზაციები, რომლებსაც ავტომატურად ენიჭება გამოძახების 3 ნომერი	ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელი უშუალოდ ხანძრის ადგილიდან ადასტურებს ან უარყოფს გამოძახების ნომერს ან აცხადებს უფრო მაღალ ნომერს

4	10-15 გათვლა ავტოცისტერნით (დამატებით _ 1, 2, 3 ნომერზე გასული ძალების დასახმარებლად გადის 4-6 მორიგე ცვლა ახლომდებარე სახანძრო-სამაშველო დანაყოფებიდან)	გათვლები ავტოკიბით, აირკვამლდამ-ცავი სამსახურის ავტომობილით, საავარიო-სა-მაშველო ავტომობილით, სახელოების ავტომობილით, ავტოამწით (ხანძრის ჩაქრობის ხელმ-ძღვანელის მოთხოვნით)	4 ნომერი ხანძარი ავტომატურად არ ცხადდება 4 ნომერი ხანძარი ცხადდება ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელის მოთხოვნით, უშუალოდ ხანძრის ადგილიდან, თუ 3 ნომრით თავმოყრილი ძალები და საშუალებები არ არის საკმარისი ხანძრის ჩასაქრობად